ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი **____ მაისი, 2024 წელი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში №05.34.23.974 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში №05.34.23.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების და ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხში №05.34.25.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების 2023 წელს იჯარით მოსარგებლე პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, ზაფხულის სეზონზე 2024 წლის 20 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე (4 თვის) ვადით სარგებლობაში გადაცემაზე.

2. განკარგულების პირველი პუქტით განსაზღვრული №05.34.23.974 და №05.34.23.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების 1 (ერთი) კვ.მეტრის 4 (ოთხი) თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს 10,0 (ათი) ლარის ოდენობით, ხოლო №05.34.25.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების 1 (ერთი) კვ.მეტრის 4 (ოთხი) თვის საიჯარო ქირა - 15,0 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 2023 წელს პლაჟის მონაკვეთების მოიჯარეთა განცხადებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ გასული წლის მცირე საიჯარო პერიოდის გამო ვერ მოხერხდა მათი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვა, გამოხატავენ მზაობას გასულ წელს აუქციონის გამარჯვების შედეგად გადაცემულ ადგილებზე იგივე საქმიანობის გაგრძელების მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეთ პლაჟის მონაკვეთები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რომ ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტმა (მერიამ, საკრებულომ) გაითვალისწინოს 2023 წლის წლის მოიჯარეების მიერ დასმული საკითხი, ხელი შეეწყოთ მოიჯარეებს რათა მათ შეძლონ შექმნილ მდგომარეობასთან გამკლავება და მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (პლაჟის მოკვეთების) 2023 წელს იჯარით მოსარგებლე პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, ზაფხულის სეზონზე 2024 წლის 20 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე (4 თვის) ვადით სარგებლობაში გადაცემაზე და №05.34.23.974 და №05.34.23.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების 1 (ერთი) კვ.მ.-ს 4 (ოთხი) თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს 10,0 (ათი) ლარის ოდენობით, ხოლო №05.34.25.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე პლაჟის მონაკვეთების 1 (ერთი) კვ.მ.-ს 4 (ოთხი) თვის საიჯარო ქირა 15,0 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით (შესაბამისად, წლიური საიჯარო ქირები შეადგენს 30 ლარს და 45 ლარს).

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, 4 (ოთხი) თვით ზაფხულის სეზონზე 2024 წლის 20 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახება სარგებლობიდან მიღებული თანხები.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**